სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.124.000.549

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2010 წლის 20 აგვისტო

ქ. ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულება (დანართი №1 თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 იანვრის №20 დადგენილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის რაზმის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ა. ნატრიაშვილს.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. რობაქიძე**

დანართი №1

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულება

მუხლი 1, ზოგადი დებულებები

1. ქ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახური შემდგომში – სამსახური არის “ადგილობრივი თითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე შექმნილი თვითმმართველი ერთეულის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას, ხანძრების ჩაქრობას და სამაშველო სამუშაოების განხორციელება-აღრიცხვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამუშაოების უზრუნველყოფას.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონებისა და, მათგან გამომდინარე, სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

სამსახურის კომპენტეცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ამტკიცებს საკრებულო მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით.

4. სამსახურის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

5. სამსახური ფინანსდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

6. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. № 9.

7. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი და ბლანკი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

სამსახურის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსის, სამი ჯგუფისა და დარგის სპეციალისტებისაგან.

ჯგუფები:

1. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ჯგუფი;
2. სახანძრო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების მორიგე ჯგუფი;
3. მომსახურების ჯგუფი.

სამსახურის ჯგუფების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია;

ა) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ჯგუფი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას, მათ შორის, ხანძრების პროფილაქტიკას მუნიციპალიტეტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ხანძარსაშიშ ზონაში.ხანძრებისა და მათი შედეგების, ასევე პირველი რიგის საავარიო-სამაშველო (ტექნიკური) სამუშაოების სახელმწიფო სტატისტიკურ აღრიცხვას;

ბ) სახანძრო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების მორიგე ჯგუფი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სახანძრო-სამაშველო სამუშოების სწრაფ და ხარისხიან შესრულებას;

გ) მომსახურების ჯგუფი უზრუნველყოფს სამსახურში შემოსული და გასაგზავნი დოკუმენტაციისა და საქმეების წარმოების ორგანიზებას,სამსახურის თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება-შენახვას, სამსახურის ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობას. სამსახურის კომუნალური მომსახურების ხარჯების კონტროლს და ეკონომიურ ხარჯვას, სამსახურის შენობისა და სათავსების დასუფთვებას.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

სამსახურის ძირითადი ამოცანაა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის, ხანძრების ჩაქრობის და სამაშველო სამუშაოების განხორციელება-აღრიცხვა.

კომპეტენციის ფარგლებში სამსახური.

1. უზრუნველყოფს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების , ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულებას.

2. უზრუნველყოფს ხანძრის ჩაქრობას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

3. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ტერიტორიაზე სახანძრ-სამაშველო სამუშოების შესრულებაში და დაგეგმილ სახანძრო-სამაშველო სწავლებაში.

4. უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებისათვის წინადადებების მომზადებას და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მმართველობის ორგანოში წარდგენას მის სარეალიზაციოდ.

5. მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესრულების წესების შემუშავებაში. უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრებისა და მათი შედეგების, პირველი რიგის საავარიო-სამაშველო (ტექნიკური) სამუშაოების აღრიცხვას.

6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენასთნ დაკავშირებით შეიმუშავებს სამსახურის ხარჯთა ნუსხის პროექტს, ამზადებს წინადადებებს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ორგანიზაციისათვის საჭირო საშტატო რიცხოვნებისა და სტრუქტურული საკითხების გადასაჭრელად.

7. უზრუნველყოფს სამსახურის ბალანსზე რიცხული სახანძრო ტექნიკისა და ტექნიკური შეიარაღების სწორ ექსპლოატაციას.

8. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში ურთიერთთანამშრომლობს მუნიციპალიტეტის სამსახურებთან, ორგანიზაცია-დაწესებულებებთან.

9. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელების სფეროში ასრულებს საქართველოს კანონის „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ მე-11 მუხლით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 4. სამსახურის უფროსი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც სამსახურში ნიშნავს და სამსახურიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი :

ა) ანაწილებს ფუნქციონალურ მოვალეობებს თანამშრომელთა შორის.

ბ) დადგენილი წესების შესაბამისად, სამსახურის თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების მიზნით ახორციელებს შუამდგომლობას მუნიციპალიტეტის გამგებელთან;

გ) ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს და ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

დ) ორგანიზებას უწევს სამსახურში მოქალაქეების წინადადებების, განცხადების, საჩივრების განხილვას, აწარმოებს მათ პირად მიღებას;

ე) უზრუნველყოფს სამსახურში საორგანიზაციო-საშტატო დისციპლინის დაცვას.

ვ) აანალიზებს სახანძრო-სამაშველო სამუშაოებზე სამსახურის მუშაობას, ახორციელებს ღონისძიებებს პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ამაღლებისა და სახანძრო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

სამსახურის უფროსს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელიც უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას და იგი ასევე ორგანიზებას უწევს საკურატორო დანაყოფის საქმიანობას. მოადგილე პასუხისმგებელია სამსახურის უფროსისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონით დადგენილი წესით.